

13.02.13

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 0.5 პროცენტული პუნქტით, 4.75 პროცენტამდე ამცირებს

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა, 2013 წლის 13 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 50 საბაზისო პუნქტით 4.75 პროცენტამდე შემცირების შესახებ.

დღეისათვის არსებული ინფორმაციით, მონეტარული პოლიტიკის ბოლო სხდომის შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა ინფლაციის შემდეგი ოთხი-ექვსი კვარტალის საპროგნოზო მაჩვენებლები. არსებული პროგნოზებით მოსალოდნელია, რომ მთლიანი სამომხმარებლო ფასების ინდექსით (სფი) გაზომილი ინფლაცია მიმდინარე წლის განმავლობაში მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი იქნება და მას მომავალი წლის მეორე ნახევარში დაუახლოვდება.

იანვარში დაბალი იყო, როგორც მთლიანი სფი ინფლაცია, ასევე საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები. მთლიანმა სფი ინფლაციამ იანვარში -1.6% შეადგინა. უარყოფითი ინფლაცია ძირითადად სურსათის ფასების შემცირებით იყო განპირობებული. მნიშვნელოვანი იყო ასევე ადმინისტრირებადი ფასების (ელ. ენერჯია და დასუფთავების მომსახურება) შემცირების ერთჯერადი წვლილი.

ეკონომიკური აქტივობის წინასწარი ინდიკატორები მეოთხე კვარტალში ეკონომიკური ზრდის შენელებაზე მიუთითებს, რაც ფასების დონეზე კლების მიმართულებით მოქმედებს. ეროვნული ბანკის პროგნოზი 2013 წლის ეკონომიკური ზრდის შესახებ ამ ეტაპზე არ შეცვლილა და მისი გადახედვა მოხდება პირველი კვარტლის მონაცემების საფუძველზე.

გასულ წელს ერთობლივი მოთხოვნის შენელებას განაპირობებდა როგორც საგარეო, ასევე შიდა ფაქტორები. ქვეყანაში კვლავ დაბალი რჩება საკრედიტო აქტივობა, რაც სესხებზე დაბალი მოთხოვნით არის განპირობებული. ევროპის შესუსტებული ეკონომიკური ზრდა აისახა გასული წლის განმავლობაში უცხოეთიდან ფულადი გზავნილების დაბალი ზრდის ტემპზე. 2012 წლის მეოთხე კვარტალში ექსპორტ-იმპორტის ზრდის ტემპების შემცირებაც მოთხოვნის შესუსტებაზე მიუთითებს.

იქიდან გამომდინარე, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი ჩამორჩება მიზნობრივ დონეს, საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მონეტარული პოლიტიკის შერბილებას და ამცირებს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2013 წლის 27 მარტს გაიმართება.